



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

განხილულია ფაკულტეტის საბჭო  
15.04. 2011

დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოს  
მიერ 30.04.2011წ.

ოქმი N9

**დებულება**  
**სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის შესახებ**

**I. ზოგადი დებულება**

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკა, საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.
3. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე პროფესიული პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრება (ერთი თვითანკონკრეტული დროით).
4. სტუდენტი პრაქტიკას გადის კერძო ან საჯარო სამართლის დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომლებთანაც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
5. როგორც გამონაკლისი, სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს პრაქტიკის გავლის ადგილი და მოხდეს მისი ლეგალიზაცია უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით.

**II. პრაქტიკის მიზნები და ამოცანები**

1. პროფესიული პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს:  
მისცეს შესაძლებლობა სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები) კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი;  
დაახლოვოს სტუდენტი თავისი სპეციალობის რეალურ გარემოსთან, დაანახოს კავშირები აკადემიურ გარემოსა და პრაქტიკას შორის.  
აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან;

სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარ-  
ჯიშება, ახალი კომპეტენციებისა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების  
გამომუშავება;

სტუდენტებისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენელთა დაკავშირება,  
პრაქტიკანტთა შემდგომში შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით.

შრომის ბაზრის სწრაფცვალეზადი მოთხოვნებიდან გამომდინარე გავლენა  
მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2. პრაქტიკის ამოცანები განისაზღვრება ფაკულტეტზე არსებული მიმართულების  
ხელმძღვანელების მიერ დამუშავებული და ფაკულტეტის საბჭოს მიერ  
დამტკიცებული პროგრამით, სტუდენტის პრაქტიკის ინდივიდუალური  
პროგრამის გათვალისწინებით.

3. პრაქტიკის პროგრამაში განისაზღვრება:

პრაქტიკის მიზნები, ამოცანები - სპეციალობის, სპეციალიზაციის და  
სწავლების შემდგომი საფეხურების გეგმებისა და პროგრამების  
გათვალისწინებით;

მისაღწევი სწავლის შედეგები: დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული  
კომპეტენციები;

პრაქტიკის განხორციელების ადგილი და ვადები, პრაქტიკის გავლის  
თანმიმდევრობა და სამუშაო დროის განაწილება;

პრაქტიკის შემცველობა - ინდივიდუალური ტიპური ნიმუშების  
მითითებით;

კონტროლის ვადები და სახეები, პრაქტიკის ანგარიშის დაცვის  
თანმიმდევრობა;

სტუდენტის უფლებები და პასუხისმგებლობები;

დღიურის ანგარიშის წარმოების წესი;

პრაქტიკის ანგარიში ან პროექტი (დარგიდან და პრაქტიკის მიზნებიდან  
გამომდინარე განისაზღვრება რა ტიპის საბოლოო დოკუმენტი უნდა  
მოამზადოს სტუდენტმა ანგარიში თუ პროექტი)

პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები (პრაქტიკის შეფასება აუცილებლად  
უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებასაც);

### III. პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს შოთა  
რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის  
განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის საფუძველზე,  
რომელიც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით (მემორანდუმით).

2. პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმო/ორგანიზაცია უნდა  
აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს დაგეგმილი სწავლის შედეგების  
მისაღწევად;

ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის ადგილზე;

უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს;

- მონაწილეობას დებულობს სტუდენტის შეფასების პროცესში.
3. პრაქტიკას წინ უძღვის სტუდენტის ინფორმირება. პრაქტიკამდე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ სტუდენტმა იცის თავისი უფლებები და მოვალეობები. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აწვდის შესაბამისი საწყის ინფორმაციას:
    - უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;
    - მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ;
    - პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
    - დღიურის წარმოების წესისა და ანგარიშის მომზადების შესახებ;
    - პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.
  4. პრაქტიკის განხორციელებისათვის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით, თითოეული პროგრამული მიმართულებისათვის მტკიცდება პრაქტიკის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები).
  5. საწარმო თავის მხრივ ნიშნავს კოორდინატორს, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოში სტუდენტთა ზედამხედველობაზე.
  6. კოორდინატორი უზრუნველყოფს ყოველდღიურ დახმარებას პრაქტიკის ადგილზე.
  7. მიმართულების ხელმძღვანელის მიერ შერჩეულმა პასუხისმგებელმა პირმა უნდა განახორციელოს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
  8. სტუდენტი-პრაქტიკანტი, პრაქტიკის დაწესებულების სხვა ქალაქში არსებობისა თვითონ იხდის პრაქტიკის ადგილამდე მგზავრობის და პრაქტიკის განმავლობაში ცხოვრების თანხას.

#### **IV. სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზაცია**

##### **4.1. პრაქტიკის განხორციელების პროცესი**

პრაქტიკის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- პრაქტიკის ადგილის გაცნობა კოორდინატორის მიერ;
- სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების - დღიურის წარმოება (**დანართი 1**);
- სტუდენტის რეგულარული ზედამხედველობა კოორდინატორის მიერ;
- სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- პრაქტიკის ანგარიშის მომზადება (**დანართი 2**);
- პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

##### **4.2. პრაქტიკის ხელმძღვანელობა**

1. პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც:

ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამზადებს ბრძანების პროექტს ფაკულტეტის სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ორგანიზების შესახებ;

ამზადებს ბრძანების პროექტს სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე განაწილების და პრაქტიკის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ, მიმართულების ხელმძღვანელების რეკომენდაციების საფუძველზე; ახორციელებს პრაქტიკის პროგრამის განხილვას და დამტკიცებას ფაკულტეტის საბჭოზე;

ანალიზებს და ადგენს ანგარიშს პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ.

2. პრაქტიკის სასწავლო-მეთოდურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს მიმართულების ხელმძღვანელი, რომელიც:

უზრუნველყოფს პრაქტიკის პროგრამების სპეციალიზაციების მიხედვით დროულად დამუშავებას და დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენას;

პრაქტიკის დაწყებამდე 2 კვირით ადრე წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ბრძანების პროექტს სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე განაწილების და დაწესებულებიდან პრაქტიკის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;

ამტკიცებს კომისიას სტუდენტთა პრაქტიკის ანგარიშის დასაცავად;

პრაქტიკის დამთავრების შემდეგ წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს დასამტკიცებლად ანგარიშს პრაქტიკის შედეგებზე;

სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, ორგანიზებას უკეთებს პრაქტიკის შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესში;

3. მიმართულების ხელმძღვანელის მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი:

ამუშავებს ინდივიდუალურ დავალებას თემატიკის, უზრუნველყოფს სტუდენტებს ინდივიდუალური დავალებებით;

ამყარებს კონტაქტს კოორდინატორთან და ათანხმებს მასთან სტუდენტთა ინდივიდუალურ დავალებებს - პრაქტიკის ადგილის პროფილის და სტუდენტისათვის აუცილებელი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობის გათვალისწინებით;

აღმოუჩენს სტუდენტებს მეთოდურ დახმარებას ინდივიდუალური დავალებების შესრულებისას ინფორმაციის მოგროვების პროცესში - პრაქტიკის დღიურის წარმოებაში;

უწევს კონტროლს სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე დროულად გამოცხადებას და პრაქტიკის ვადების დაცვას;

აწარმოებს ობიექტზე პრაქტიკის ორგანიზაციის და პროგრამის მონიტორინგს;

ახორციელებს პრაქტიკის დღიურის, ანგარიშების შემოწმებას. ორგანიზებას უკეთებს პრაქტიკის ანგარიშის ფაკულტეტზე მიმართულები ხელმძღვანელთან დაცვას;

4. დაწესებულებიდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს:

სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის პროგრამის, გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამ დებულების საფუძველზე;

სტუდენტისათვის პრაქტიკის პროგრამის შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნას და გაცნობას, სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას, პრაქტიკის პერიოდში შესასრულებული ამოცანების განმარტებას;

პრაქტიკის ანგარიშისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში დახმარების აღმოჩენას, კონცულტაციების გაწევა;  
სტუდენტთა ყოველდღიური ხელმძღვანელობას და პრაქტიკის პროგრამის შესრულების კონტროლოს განხორციელებას;  
თითოეული სამუშაო ადგილზე სტუდენტებისათვის უსაფრთხო მუშაობის პირობების შექმნა;  
პრაქტიკის სდამთავრების შემდეგ ადგენს სტუდენტის დახასიათებას;

#### IV. სტუდენტის უფლება და მოვალეობა

1. სტუდენტს აქვს უფლება:
  - დამოუკიდებლად განახორციელოს იმ დაწესებულების ძიება, რომელშიც იგი გაივლის პროფესიულ პრაქტიკას;
  - მიმართოს დახმარებისათვის პრაქტიკის ადგილის მოძიებაში დეკანატს, პროგრამულ მიმართულებას;
  - მიიღოს კონსულტაციები პრაქტიკის საკითხებზე პრაქტიკის ხელმძღვანელთან, პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელთან და დეკანთან;
  - მიიღოს პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე განაწილების მიმართვა.
2. სტუდენტი პრაქტიკის გავლის დროს ვალდებულია:
  - გაიაროს პრაქტიკა განსაზღვრულ ვადებში;
  - დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის და კოორდინატორის მიერ გაცემული, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებებით გათვალისწინებული, ამოცანები, და შეაგროვოს საჭირო მასალები;
  - ზუსტად დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების შინაგანაწესი, უსაფრთხოების ტექნიკა, შრომითი დაცვის პირობები და სამუშაო ადგილის სხვა მოთხოვნები;
  - დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების სამუშაო რეჟიმი ან კოორდინატორის მიერ შეთავაზებული გრაფიკი;
  - აწარმოოს პრაქტიკის დღიური, შეაგროვოს აუცილებელი მასალები და მოამზადოს ანგარიში;
  - პრაქტიკის დამთავრების შემდეგ დროულად წარუდგინოს პრაქტიკის ხელმძღვანელს დასრულებული და სათანადო სახით გაფორმებული პრაქტიკის ანგარიში;
  - პრაქტიკის ანგარიშთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას პროფესიული პრაქტიკის დღიური, ხელმოწერილი დაწესებულებიდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

#### VI. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა

1. პროფესიული პრაქტიკის გავლისა და პრაქტიკის ხელმძღვანელთან ანგარიშისა და დღიურის წარდგენის შემდეგ სტუდენტი პროგრამულ მიმართულებაზე იცავს პრაქტიკის ანგარიშს ამ მიზნით გამოყოფილი კომისიის წინაშე.

2. სტუდენტები, რომლებმაც არ გაიარეს პრაქტიკა ან ვერ დაიცვეს პრაქტიკის ანგარიში ან მიიღეს შეფასება Fx ან F, არ დაიშვებიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

## VII. პრაქტიკის ანგარიში შეფასება

პრაქტიკის დაცვის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელის ნაწილდება ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე შემდეგი ხვედრითი წილით (პროცენტით):

1. პრაქტიკის სრული დღეების რაოდენობა - 10%;
2. პრაქტიკის დღიური - 10%;
3. პრაქტიკის ანგარიშის რეზიუმე - 10%  
გაფორმებულია შესაბამისად  
რეზიუმე სრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს
4. საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა - 20%  
ქმნის მკაფიო წარმოდგენა საწარმოზე
5. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი - 30%  
განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს  
შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს  
(განვითარებული კომპეტენციები)  
კომპეტენციების განვითარება შეფასებულია კრიტიკულად  
ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული
6. დასკვნების და რეკომენდაციების არგუმენტირება - 20%

## VIII. პრაქტიკის ხელმძღვანელთა დატვირთვის ნორმები

1. უნივერსიტეტიდან დანიშნულ პრაქტიკის ხელმძღვანელზე მიმაგრებულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.
2. პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი საათები:  
ბაკალავრიატი - **2 საათი** ერთ სტუდენტზე;
3. კოორდინატორის შრომის ანაზღაურების პირობები განსიზღვრება უნივერსიტეტსა და პრაქტიკის ორგანიზაცია/დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

## IX. დასკვნითი დებულებები

სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის შესახებ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

**პრაქტიკის დღიური**

სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის ან პროექტის მომზადებაში. დღიური მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- თარიღი,
- საწარმოს/ორგანიზაციის განყოფილება/დეპარტამენტი/ერთეული,
- შესრულებული ფუნქცია
- კომენტარი.

პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევების დაფიქსირებაში დამატებით შესაძლებელია კომპეტენციების განვითარების დღიურის წარმოებაც.

**კომპეტენციების განვითარების დღიური**

დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები	მაგალითები
1. საკომუნიკაციო უნარები	
2. ჯგუფში მუშაობა	
3. საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი	
4.	
5.	
6.	

## პრაქტიკის ანგარიში

### 1. თავფურცელი

უმაღლესი სასწავლებელი

პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოს/ორგანიზაციის დასახელება

პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების თარიღი

სტუდენტის სახელი და გვარი

პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი

### 2. რეზიუმე

პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება.

### 3. სარჩევი

#### 4. საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა

ანგარიშის ეს ნაწილი უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

4.1. საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება და მისამართი და მოკლე ისტორია

4.2. საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა

4.3. სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია; წარმოებული მომსახურება და ძირითადი მომხმარებლები

4.4. საწარმოს/ ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა)

4.5. უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების რეგულირება

#### 5. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი

5.1. რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით პრაქტიკის დროს?

5.2. პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განივითარეთ პრაქტიკის პროცესში ?

5.3. რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს თქვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა თქვენს მიერ მანამდე გამომუშავებულ დარგობრივ კომპეტენციებს?

5.4. როგორ ფიქრობთ რა გავლენას მოახდენს პრაქტიკა თქვენს სამომავლო კარიერულ გეგმებზე?

### 6. დასკვნები

### 7. დანართი

გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა. შ



პრაქტიკის ანგარიში თავფურცელი

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და აკინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ, სოციალური მეცნიერებათა და ბიზნესისა და მართვის  
ფაკულტეტი  
ბიზნესისა და მართვის დეპარტამენტი**

პრაქტიკის ანგარიში

პრაქტიკის განხორციელების ადგილი:

პრაქტიკის ვადები:

სტუდენტის სახელი და გვარი:

პრაქტიკის ხელმძღვანელი:

კოორდინატორი: